სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

62814912918226

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

# იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N260481084**

რეგისტრაციის თარიღი

**17.04.2026 წ**


ნოტარიუსი: ნიკოლოზ ბერიკაშვილი

მისამართი: ქალაქი თბილისი, ილია სუხიშვილის ქუჩა N 45, ბლოკი "ა", სართული 2, ბინა N 2

ტელეფონი: 598517518



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge

ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაექვსი წლის ჩვიდმეტ აპრილს, მე, საქართველოს ნოტარიუს ნიკოლოზ ბერიკაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ილია სუხიშვილის ქუჩა N 45, ბლოკი "ა", სართული 2, ბინა N 2, მომმართა- გაგა გუგუნაშვილმა, როგორც შპს ,,გაგა ბილდინგი"-ს (ს.ნ: 406364777, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, შორაპნის ქ., N 34, ბ. 13) დირექტორმა, მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ასევე, სსგს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად- გაგა გუგუნაშვილმა (დაბ.: 25.01.1988 წ., პირადი ნომერი: 01013029236, გაცხადებული მისამართი: თბილისი შორაპნის ქ. N 34 ბ. 13), მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია,მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შევამოწმე უფლებამოსილება თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24115486, 12/09/2024 18:37:55), რომელიც თან ერთვის სანოტარო აქტს. „მიმნდობს" ჩემს მიერ განემარტა მინდობილობის შინაარსი და სამართლებრივი შედეგები, მინდობილობის ტექსტი სანოტარო აქტის მონაწილეს წაეკითხა ჩემს, ნოტარიუსის მიერ, სანოტარო აქტი „მიმნდობმა" თავადაც წაიკითხა, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას, მოიწონა, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

ამ მინდობილობით- გაგა გუგუნაშვილმა (დაბ.: 25.01.1988 წ., პირადი ნომერი: 01013029236), როგორც შპს „გაგა ბილდინგი"-ს (ს.ნ: 406364777), დირექტორმა, შემდგომში- „მიმნდობი", ემზარი გეგელიას (დაბ.: 29.12.1952 წ., პირადი ნომერი: 01013004244), შემდგომში- "მინდობილი პირი" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები:
„მინდობილი პირი" უფლებამოსილია შპს ,,გაგა ბილდინგი"-ს (ს.ნ: 406364777) საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით: მისამართი: ქალაქი თბილისი, ბზითაგორის ქუჩა, N 79, სართული 1, კომერციული ფართი N1, ს.კ: 01.19.20.018.038.01.02.001 იყოს „მიმნდობის" წარმომადგენელი ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, იუსტიციის სამინისტროში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ საელჩო დაწესებულებაში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, მის სამსახურებში (მათ შორის: ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, იურიდიულ სამსახურში, გარემოს დაცვის სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში და სხვ.) და ტერიტორიულ ორგანოებში, საკრებულოში, გამგეობაში, უზრუნველყოს აზომვითი ნახაზების შესრულება, გამოჯვნა, გაყოფა, გამყოფა, რისთვისაც განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, „მიმდობის" სახელით განაცხადოს ნებისმიერი ტიპის თანხმობები, გააკეთოს განცხადებები რაც საჭირო იქნება გამიჯვნის, გამოყოფის, გაყოფის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით, დადოს შესაბამისი შეთანხმება, მოიპოვოს ნებართვები, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები, აწარმოოს მოლაპარაკებები, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეასწოროს ნებისმიერი ხარვეზი და ჩააბაროს დოკუმენტაცია ხელახლა, აღებული ნებართვები ჩააბაროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დ ამოითხოვოს მისი რეგისტრაცია, მოითხოვოს ექსპერტიზის დანიშვნა/ჩატარება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. "მიმნდობის" სახელით შეაგროვოს/ აიღოს/ წარადგინოს/ მოითხოვოს/მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, ცნობა, ნებართვა, ინფორმაცია, პერსონალური მონაცემი, ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.
მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით და ძალაშია 2026(ორი ათას ოცდაექვსი) წლის 16(თექვსმეტი) ივლისის ჩათვლით. მინდობილობა გაცემულია სხვა პირზე გადანდობის უფლების გარეშე, მიმდობს განემარტა, რომ იგი უფლებამოსილია ვადამდე გააუქმოს მინდობილობა და ამასთან, ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს მის მინდობილ პირს. წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნიკოლოზ ბერიკაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა „მიმნდობს".
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, აქედან: 30 (ოცდაათი) ლარი ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N507-ე დადგენილების 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, რეგისტრაციის საფასური 5 (ხუთი) ლარი (ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად და დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

„მიმნდობის" ხელმოწერა _____

ნოტარიუსი _____ ნიკოლოზ ბერიკაშვილი